ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზში

არსებული ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ,, ცაგერი''-ს და სპორტულ კომპლექსში

მოვარჯიშე სპორტსმენთა მშობლების

საერთო კრების ოქმი N 2

ქ.ცაგერი 28 ივნისი 2021 წელი

მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის შენობაში 2021 წლის 28 ივნისს 14.00 საათზე ჩატარდა ფრენბურთის კლუბი ,,ცაგერი''-ს თანამშრომლების და სპორტულ კომპლექსში მოვარჯიშე სპორტსმენთა მშობელთა კრება, კრებას ესწრებოდა საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ალექსანდრე გასვიანი.

აღნიშნულ კრებაზე რეგისტრირებული (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 32 წევრს.

კრებას ესწრება 32 სუბიექტი, მათ შორის 15 ქალი და 17 კაცი , ბიზნესსექტორის წარმომადგენელი 2 კაცი

საერთო კრების თავმჯდომარედ არჩეულია გია სილაგაძე (პ/ნ 49001001748)

საერთო კრების მდივნად არჩეულია ნუგეშა კოპალიანი (პ/ნ 49001012022)

საკითხი:

ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია

საკითხის ინიციატორი- ცაგერის მუნიციპალიტეტი:

საკითხის ინიციატორის წარმომადგენელმა გია სილაგაძემ საერთო კრებას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტულად ჩაითვალა ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის სამუშაოების განხორციელება, დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ წინადადებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება სპორტული დანიშნულების ობიექტის განახლება, ადგილობრივი ბიზნესის განვითარება და ვიზიტორების ზრდა, რომელიც მოემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ტურისტებს. ამასთან დაკავშირებით კრებას წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული პროექტი ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია

აზრი გამოთქვა: ა. გასვიანმა, გ. გუგავამ, თ.ჩიქოვანმა კ.მეშველიანმა, ლ. ფუტკარაძემ და ბ. ღურ-ჭუმალიძემ

საერთო კრებამ მოიწონა წარმომადგენლის წინადადება ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციის შესახებ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85 [2] მუხლის 1 პუნქტის, 85 [3] მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

დ ა ა დ გ ი ნ ა

1.მოწონებული იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად გადაეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით;

მომხრე: 32
მოწინააღმდეგე: 0
ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა: 0

442569971

კრების თავმჯდომარე: /გ. სილაგაძე/

კრების მდივანი: / ნ. კოპალიანი/